ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2063033

ნომერი: AR1330735

თარიღი : 11.08.2015

გაცემის თარიღი : 12.08.2015

გაცნობის თარიღი : 15.08.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გერგეთი , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1330735 განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გერგეთის ქ. #8–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.15.05.081.004) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ შემდეგს:
საპროექტო ტერიტორია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 5–ში (სზ–5). წარმოადგენს განაშენიანების საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები; მასში მოქმედბს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,5;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 2,1;
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1.
ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიული დაცვის ზონის საზღვარში, საკითხი უნდა განიხილოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“–ს მიერ, რისთვისაც უნდა წარმოადგინოთ საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ–არქიტექტურულ კვლევაში მითითებული პირობების გათვალისწინებით საპროექტო წინადადების ესკიზური ვარიანტი („რენდერი“, მოცულობის ელ. ვერსია ფოტომონტაჟით მიმდებარე გარემოში), რომლის დაპროექტებასაც ფიქრობთ აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე.
ასევე დამატებითი ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ განაცხადზე ატვირთული მიწის ნაკვეთების შესაბამისი საკადასტრო გეგმა, რომელზეც იგეგმება მშენებლობის განხორციელება არ იძებნება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფენაში. აღნიშნული დოკუმენტის მოსამზადებლად, ზემოაღნიშნული საბჭოს მიერ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარუდგინოთ თქვენი საპროექტო ტერიტორიის აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსია (UTM კოორდინატთა სისტემაში) და მოამზადოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად; დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.